დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №85 ბრძანებით;

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 29 ნოემბრის №139454, 2023 წლის 1 მაისის №13989 ბრძანებებით

შპს ევროპის უნივერსიტეტის
საუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ძირითადი მიზნები 3

მუხლი 2. სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პრინციპები 3

მუხლი 3. სააუდიტორიო მუშაობის შეფასების მიზანი 3

მუხლი 4. სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების პროცედურა 3

მუხლი 5. სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების შედეგების გამოყენების პროცედურა 4

მუხლი 1. ძირითადი მიზნები

ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე ორგანიზება. სტუდენტების მრავალფეროვნება და სწავლის შედეგებზე ფოკუსირება მოითხოვს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლასა და სწავლებას. ამდენად, სააუდიტორიო მუშაობის შეფასება არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ფაკულტეტის, პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, ჰქონდეთ ინფორმაცია უნივერსიტეტში სწავლა-სწავლების ხარისხის შესახებ.

მუხლი 2. სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პრინციპები

ხარისხის შეფასების სისტემა ორიენტირებულია თანამედროვე სტანდარტებზე, რაც ითვალისწინებს მაღალ პროფესიონალიზმს, ობიექტურობას, შეფასების გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას. აღნიშნულზე დაყრდნობით უნივერსიტეტი ახორციელებს სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებას.

მუხლი 3. სააუდიტორიო მუშაობის შეფასების მიზანი

სააუდიტორიო მუშაობის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული პირების განვითარების ხელშეწყობა, პერსონალის შესაძლო საჭიროებების იდენტიფიცირება, ხარისხის კულტურის დანერგვა. პერსონალის ურთიერთადასწრება (Peer Review) ხელს უწყობს კოლეგებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

მუხლი 4. სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების პროცედურა

1. სააუდიტორიო მუშაობისას დასწრებას და ხარიხის ურთიერთშეფასებას ახორციელებს კომისია შემდეგი შესაძლო შემადგენლობით:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, დარგის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის წარმომადგენელი.

2. სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრება ვრცელდება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, თუ:

ა) აკადემიური/მოწვეული პერსონალი პირველად ახორციელებს უნივერსიტეტში სწავლებას;

ბ) სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანდა ზეპირი შეფასებების საფუძველზე გამოიკვეთა დაკვირვების საჭიროება;

გ) სააუდიტორიო მუშაობაზე წინა დაკვირვების შედეგად გამოვლინდა საყურადღებო და გასაუმჯობესებელი ასპექტები დაკვირვებიდან 1 წლის ფარგლებში.

3. სააუდიტორიო დასწრების შედეგად კომისია წერს საბოლოო დასკვნას შესაბამისი შეფასებებითა და რეკომენდაციით.

მუხლი 5. სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების შედეგების გამოყენების პროცედურა

1. სააუდიტორიო მეცადინეობაზე დასწრების დროს თითოეული შემფასებლის მიერ ფასდება სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების სათანადოობა და სილაბუსთან შესაბამისობა, სასწავლო რესურსების გამოყენება, ახსნილი თემატიკის სასწავლო კურსის შინაარსთან და სილაბუსთან შესაბამისობა, ლექტორის მიერ გაცემული უკუკავშირი და სხვა (იხ. დანართი 1).

2. კომისიის მიერ დამუშავებული ინფორმაცია და შეფასების შემაჯამებელი ანგარიში (იხ. დანართი 2) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარედგინება ფაკულტეტის დეკანს და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს.

3. შეფასების შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ინდივიდუალურად ეცნობება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, რომელთანაც განხორციელდა დასწრება.

4. პროგრამის ხელმძღვანელი დეკანთან ერთად განიხილავს დასკვნის ანგარიშსა და რეკომენდაციებს, აკეთებენ მათ ანალიზს, გამოყოფენ ძლიერ მხარეებს და ახდენენ გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას, სახავენ გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს.

5. გასაუმჯობესებელი ღონისძიებები შეიძლება ითვალისწინებდეს კოლეგების გამოცდილების გაზიარებას, ტრენინგებს სწავლების მეთოდებში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო სხვა ღონისძიებებს.

6. სჭირეობის შემთხვევაში ფაკულტეტი თანამშრომლობს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრთან პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით.

დანართი 1

სააუდიტორიო მუშაობის შეფასების ფორმა

მოცემული ფორმა გამოიყენება სალექციო პროცესის შეაფსების მიზნით. ფორმა ეხმარება შემფასებელს, შეაფასოს ლექტორის სალექციო პროცესი წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

სასწავლო წელი	
თარიღი	
ფაკულტეტი	
საგანმანათლებლო პროგრამა	
სწავლების საფეხური	☐ ბაკალავრიატი ☐ მაგისტრატურა ☐ ერთსაფეხურიანი ☐ მასწავლებლის მომზადების პროგრამა
სასწავლო კურსი	
ლექტორი	
სტუდენტების რაოდენობა	

#	**შეფასების კრიტერიუმები**
1	ახსნილი მასალა შეესაბამება სილაბუსის თემატიკას
2	ლექტორი ეფექტურად გეგმავს ლექციას კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით
3	რელევანტურად არის გამოყენებული სასწავლო რესურსი (ვიდეომასალა - Power-Point, ცხრილები, პოსტერები და ა.შ.)
4	გათვალისწინებულია როგორც ცალკეული სტუდენტების, ასევე მთელი ჯგუფის საჭიროებები
5	ლექტორი კარგად არის მომზადებული ლექციისთვის და საინტერესოდ ხსნის მასალას
6	ლექტორი ცდილობს ახალი მასალა დაუკავშიროს განვლილ მასალას და განამტკიცოს სტუდენტების ცოდნა
7	ლექტორი რაციონალურად იყენებს ლექციისათვის განკუთვნილ დროს

8	ლექცია ინტერაქტიულია, სტუდენტებს აქვთ საშუალება დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში
9	ლექტორი სტუდენტების შეკითხვებს პასუხობს ამომწურავად
10	ლექტორის მიერ მიცემული დავალებები არის გასაგები და დაძლევადი სტუდენტებისათვის
11	ლექტორი ხელს უწყობს სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ დამოუკიდებელი ანალიტიკური აზროვნება
12	ლექტორი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას შემდგომში განსახილველი თემატიკის შესახებ
13	ლექტორი იყენებს თემატიკის შესაბამის თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგიას
14	ლექტორი სტუდენტებს აფასებს ობიექტურად, სილაბუსში გაწერილი შეფასების სისტემის და კრიტერიუმების დაცვით

შეფასება/კომენტარი: *(გთხოვთ შეფასებისას იხელმძღვანელეთ ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით)*

თარიღი: ___ /___/___

ხელმოწერა:_____

დანართი 2

სააუდიტორიო მუშაობის შეფასების შემაჯამებელი ანგარიშის ფორმა	
ფაკულტეტი	
ინფორმაციის წარმოდგენაზე პასუხისმგებელი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
აკადემიური წელი და სემესტრი	
ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	

გვარი, სახელი	საგანმანთლებლო პროგრამა	სასწავლო კურსი	გამოთქმული რეკომენდაციები	განხორციელებული აქტივობა	განმეორებითი დასწრების საჭიროება / პერიოდი